



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

თეთრი ნიშნი

2017 – 2020

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართვა



საქართველო, რეგიონის წინაშე მდგარი უსაფრთხოების მწვავე გამოწვევების მიუხედავად, მტკიცედ დგას ევრო-ატლანტიკურ საზოგადოებასთან დაახლოების გზაზე, რაც ჩვენს მოქალაქეებს საშუალებას მისცემს იცხოვრონ მშვიდ და სტაბილურ გარემოში, სადაც დაცული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებები და ღირებულებები. საქართველო ძალისხმევას არ იშურებს იყოს სანდო პარტნიორი, რომელიც განუხრელად იცავს საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ პრინციპებსა და ადამიანის უფლებებს და არის პასუხისმგებლობის

მქონე მოთამაშე საერთაშორისო არენაზე. ამ მისწრაფებების განსახორციელებლად, ჩვენს ქვეყანას ესაჭიროება მძლავრი ფარი საგარეო აგრესიის შესაკავებლად, არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ და პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პირობების შესაქმნელად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი საჭიროა კარგად აღჭურვილი და სათანადოდ განვრთნილი, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე შეიარაღებული ძალები.

ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით, ჩვენი მიზანია უფრო ეფექტური თავდაცვის ინსტიტუციისა და ოპტიმალურ ძალთა სტრუქტურის შექმნა, რომელსაც ხელენიფება არსებულ გამოწვევებთან გამკლავება, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა და ნატოსთან სრული თავსებადობის მიღწევა.

საქართველო, როგორც ნატოს მომავალი წევრი, ერთგულია ალიანსის ხელშეკრულების მესამე მუხლის პრინციპების, რაც აგრესიისგან თავდაცვის მიზნით თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვრჩებით ვარშავის სამიტზე შეთანხმებული პრინციპებისა და სტანდარტების ერთგული. მოქნილი და მდგრადი შეიარაღებული ძალები შეკავების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომელიც აგრესიის თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს. ეს კი გულისხმობს, რომ შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციისა და ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პარალელურად, საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა პასუხი უნდა გასცეს ნებისმიერ პირდაპირ საფრთხეს. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრირება, რესურსების გადანაწი-



ილება მკაფიოდ განსაზღვრულ პრიორიტეტებზე და დაბალანსებული სამხედრო შესაძლებლობების განვითარება ნატოსთან და პარტნიორ ქვეყნებთან თავსებადობის ამალღების პარალელურად. ჩვენ ვაძლიერებთ შეიარაღებული ძაღების საბრძოლო შესაძლებლობებს, რომღებიც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ კოლექტიური უსაფრთხოების განმტკიცებისთვისაც.

პარტნიორებთან კონსულტაციების შედეგად, შევიმუშავეთ შეიარაღებული ძაღების ტრანსფორმაციის ხედვა, რაც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში საბრძოლო მზადყოფნის დონის ამალღებას ისახავს მიზნად. ხედვის შემუშავების პროცესში გამოიკვეთა პერსონალის ხარჯებსა და საქართველოს შეიარაღებული ძაღების საბრძოლო მზადყოფნის საჭიროებებს შორის არსებული დისბალანსი. შესაბამისად, დადგინდა ძირითადი სტრატეგიული მიმართუღებები, რის საფუძველზეც მომდევნო წღების განმავლობაში მოხდება შეიარაღებული ძაღების ტრანსფორმაციის პროცესის წარმართვა. გვჯერა, რომ ჩვენი ძალისხმევის შედეგად მივიღებთ უფრო ეფექტურ, მაღალი საბრძოლო მზადყოფნის მქონე და მოქნიღ შეიარაღებულ ძაღებს.

შესავალი

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს „თეთრი წიგნი“ უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტია, რომელიც ეფუძნება ეროვნული დონის სტრატეგიული დოკუმენტებით განერილ ღირებულებებს, ინტერესებს, საფრთხეებს და განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტროს და შეიარაღებული ძალების (სშძ) სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებსა და ამოცანებს 2017-2020 წლებისთვის.

დოკუმენტი მიზნად ისახავს ძლიერი და ეფექტური თავდაცვის უწყების და თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბებას, რომელსაც ხელენიფება არსებულ საფრთხეებზე რეაგირება და ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვა.

„თეთრი წიგნი“ ასევე მოიცავს „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020-ის“ (თსმ) პროცესში განხორციელებულ ძალთა ოპტიმიზაციის შედეგებს, დოკუმენტში ჩამოყალიბებულ რეკომენდაციებს და განსაზღვრავს იმ ღონისძიებათა პაკეტს, რომლებიც კრიტიკულად მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის სრული ტრანსფორმაციის, „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომისა და საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისათვის.

კომპლექსური და დინამიური უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო გამოცდილება და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“ დოკუმენტში წარმოადგინა „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპი, რომელიც გულისხმობს სახელმწიფო რესურსების ფართო და კოორდინირებულ გამოყენებას. „ტოტალური თავდაცვის“ მიდგომის განხორციელება მოითხოვს სამოქალაქო თავდაცვის სისტემის დანერგვას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რეზერვისა და მობილიზაციის ეფექტიანი სისტემის შექმნას.

ამ მიზნით დაგეგმილია:

- უწყებათშორისი თანამშრომლობის ფარგლებში უწყებრივი ამოცანების განსაზღვრა და კოორდინაციის ამაღლება;
- სამხედრო-სავალდებულო სამსახურის სისტემის თვისობრივი გაუმჯობესება;
- რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება.



„თეთრი წიგნი“ შემუშავდა ფართო შიდაუწყებრივ და უწყებათაშორის ფორმატში, თავდაცვისა და უსაფრთხოების ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების აქტიური ჩართულობითა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო კონსულტაციების შედეგად.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ახალმა ადმინისტრაციამ პირველი რიგის

ამოცანად, არსებული საფრთხეებისა და რესურსების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების ნაკლოვანებების იდენტიფიცირება დასახა, რაც თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020-ის (თსმ) ფარგლებში განხორციელდა. პროცესში გამოაშკარავდა ის ძირითადი გამოწვევები, რომლებიც ხელს უშლიდა და აფერხებდა თავდაცვის სისტემისა და შეიარაღებული ძალების განვითარების პროცესს, კერძოდ:

- ქვედანაყოფების საბრძოლო მზადყოფნის არასაკმარისი დონე
- ბიუჯეტის (რესურსების) არასათანადო განაწილება
- ინსტიტუციონალური პრობლემები

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, გამოიკვეთა ხუთი სტრატეგიული მიმართულება. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, აერთიანებს ღონისძიებათა ჯაჭვს, რომელთა ეფექტური განხორციელების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თავდაცვის სისტემის ეფექტური ტრანსფორმაცია მომავალი ოთხი წლის (2017-2020) განმავლობაში.

სტრატეგიული მიმართულებები:

- **სტრატეგიული მართვა** - გულისხმობს უწყებათშორისი თანამშრომლობის გაღრმავებას რესურსების ეფექტიანად განაწილების მიზნით, ასევე, თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრაციის ხარისხის ამაღლებას დასახული პრიორიტეტების მიხედვით;
- **შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაცია** - მიზნად ისახავს სამხედრო შესაძლებლობების ოპტიმალური ბალანსის შექმნას და ქვედანაყოფების ოპტიმალური სტრუქტურის ფორმირებას;
- **შეიარაღებული ძალების მზადყოფნა** - მიზნად ისახავს პერსონალის, აღჭურვილობის, განათლება/წრთვებისა და მზადყოფნის სისტემურ გაუმჯობესებას;
- **ინსტიტუციური განვითარება** - მიზნად ისახავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მართვის მექანიზმების გაუმჯობესებას შეიარაღებული ძალების ეფექტური ფუნქციონირებისთვის;
- **მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობა** - მიზნად ისახავს, როგორც ნატოსთან და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას და თავსებადობის გაზრდას, ასევე, საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას.

ხსენებული სტრატეგიული მიმართულებებისა და ზოგადად, ტრანსფორმაციის პროცესში მიღწეული პროგრესისა და ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის ხელმძღვანელობა განახორციელებს მუდმივ მონიტორინგს.

სტრატეგიული მიმართულებები

წარმოდგენილი ხუთი მიმართულება აერთიანებს თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის კრიტიკულ ელემენტებს. თითოეულ მიმართულებას გააჩნია საბოლოო მიზანი და მათ მისაღწევად განსახორციელებელი ღონისძიებები (იხ. გრაფიკული გამოსახულება).

#	სტრატეგიული მიმართულებები	წელ კვარტალი თვე	2017				2018				2019				2020											
			1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4	1	2	3	4								
			1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
1	სტრატეგიული მართვა	უწყებათაშორისი თავდაცვის სამინისტროს დირექტივები	→																							
		მაღლა ოპტიმიზაცია	→																							
3	მაღლა მზადყოფნა	ქვედანაყოფის მზადყოფნა	→																							
		ქვედანაყოფის სტატუსის და შეფასების მონიტორინგა (USERS)	→																							
		GDRF იმპლემენტაციის დაგეგმვა GDRF რესურსების მონიტორინგები	→																							
4	ინტეგრირებული რეფორმები	პერსონალი	→																							
		დაზღვევა	→																							
		საბრძოლო მომზადება	→																							
		განათლება	→																							
		ლოჯისტიკა / სამედიცინო	→																							
		საინფორმაციო სისტემები	→																							
		კომუნიკაციები და კოორდინაციის უზრუნველყოფა	→																							
5	საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობა	საერთაშორისო თანამშრომლობა	→																							
		ორმხრივი / მრავალეროვნული თანამშრომლობა	→																							

1. სტრატეგიული მართვა

გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში, საქართველოს თავდაცვის უზრუნველყოფისა და თავდაცვის სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის კრიტიკულ მნიშვნელობას იძენს შესაძლებლობების სისტემური ანალიზი. შესაბამისად, თავდაცვის დაგეგმვის პროცესის სწორად წარმართვისთვის საჭიროა დროულად განხორციელდეს სახელმძღვანელო დოკუმენტების განახლება, რაც უზრუნველყოფს არსებულ და პოტენციურ გამოწვევებზე ჯეროვანი რეაგირებისთვის ახალი მიდგომების, ხედვებისა და გეგმების გენერირებას. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა მუშაობის წარმართვა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

2017 წლის ღონისძიებები:

- **ეროვნული სამხედრო სტრატეგია** - დოკუმენტი შემუშავდება უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის მიერ, სადაც განისაზღვრება თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მისია, ამოცანები და სამხედრო შესაძლებლობები, რომლებიც საჭიროა ქვეყნის ტერიტორიისა და მოსახლეობის დასაცავად. ასევე, დოკუმენტში განისაზღვრება სხვა სახელმწიფო უწყებების როლი ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად.
- **თავდაცვის ტრანსფორმაციის გეგმა 2017-2020** - დოკუმენტი აერთიანებს თავდაცვის სფეროში ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილ ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც ემსახურება შეიარაღებული ძალების განვითარებას, როგორც საბრძოლო

შესაძლებლობების, ასევე ინსტიტუციური მდგრადობისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით. გეგმა ასევე მოიცავს შეიარაღებული ძალების სტრუქტურულ ტრანსფორმაციას თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტის შესაბამისად.

- **მინისტრის ყოველწლიური დირექტივები/სახელმძღვანელო 2017** - დოკუმენტი დამტკიცდება 2017 წლის პირველ ნახევარში და მასში დეტალურად გაიწერება თავდაცვის სამინისტროში ერთი წლის მანძილზე განსახორციელებელი ღონისძიებები.
- **გრძელვადიანი შესყიდვების სტრატეგია** - დოკუმენტში განხილულია ძალების უწყვეტი და თანმიმდევრული განვითარებისთვის ძირითადი თავდაცვითი სისტემების შესყიდვების ალტერნატივები და განსაზღვრულია მათი პრიორიტეტიზაცია.
- **თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელო 2018-2021** - დოკუმენტი ასახავს დაგეგმვის პერიოდში დადგენილ რესურსებრივ-ფინანსურ პარამეტრებს და წარმოადგენს მითითებებს თავდაცვის სამინისტროს პროგრამის კოორდინატორებისთვის/მენეჯერებისთვის, რათა მოხდეს პროგრამების შემუშავება „თეთრ წიგნს“-სა და „მინისტრის ყოველწლიური დირექტივების/სახელმძღვანელო“-ში განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად.

2017-2020 წლების ღონისძიებები

- **ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი** - 2018-2020 წლებში თავდაცვის სამინისტრო, სხვა უწყებებთან ერთად, აქტიურად იქნება ჩართული კონცეპტუალური დოკუმენტების (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი) განახლების მიზნით შექმნილ უწყებათშორის ფორმატებში.
- **უწყებათშორისი კოორდინაციის მექანიზმების (ამოცანებისა და ღონისძიებების) დახვეწა** - მოიცავს რიგ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება კრიზისული (როგორც საომარი, ასევე არასაომარი) სიტუაციების დროს მოქნილ და გამონევევებზე ორიენტირებული სისტემის გამართვას, სადაც თითოეული სახელმწიფო უწყება წარმოდგენილი იქნება, როგორც საერთო თავდაცვითი პოლიტიკის ნაწილი. აღნიშნული სისტემა უნდა აერთიანებდეს დროსა და სივრცეში გათვლილ კონკრეტულ გეგმებსა და ამოცანებს.
- **ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა** - ითვალისწინებს განახლებადი მონაცემთა ბაზის შექმნას, რომელშიც აისახება თითოეული უწყების შესაძლებლობათა ჩამონათვალი კრიზისებისა და ომის დროს. ამასთან, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უნდა მომზადდეს არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურების, არამედ იმ კერძო კომპანიების ხელთ არსებული რესურსებისა და მარაგების სრული ნუსხა, რომელიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო თავდაცვის ორგანიზებისათვის.
- **წვრთნების ჩატარება სტრატეგიულ დონეზე უწყებათშორის თანამშრომლობისა და კოორდინაციის მიზნით** - საქართველოს შეიარაღებულ ძალებს დაგროვილი აქვს სტრატეგიული დონის სწავლებების ჩატარების გამოცდილება (სწავლება „დიდგორი“, „ინფო“). საჭიროა მოხდეს მიღებული შედეგების ანალიზი და მათ საფუძველზე გამოვ-

ლენილი ნაკლოვანებების გამოსწორება მართვისა და კონტროლის არსებულ სისტემაში. ამ კუთხით, საჭიროა გაიზარდოს უწყებათშორისი სწავლებების სიხშირე თავდაცვისთვის სახელმწიფო მზაობის უზრუნველსაყოფად.

- **საინფორმაციო სივრცეში თანამშრომლობის მექანიზმების დახვეწა** - არსებული გამოწვევებისა და საფრთხეების გათვალისწინებით, საქართველოსთვის მნიშვნელოვანი იქნება საინფორმაციო სივრცის დაცვა და მისი შეუფერხებელი ფუნქციონირება. ვინაიდან საინფორმაციო გარემო წარმოადგენს იმ განზომილებას, რომელშიც მოქმედება მიმდინარეობს სამხედრო მოქმედებების დაწყებამდეც, მნიშვნელოვანია, მშვიდობიანობის პერიოდში მოქმედების ერთიანი სტრატეგიისა და სტანდარტული პროცედურების შემუშავება და კოორდინირებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის დადგენა.

2. ძალთა ოპტიმიზაცია

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების რიცხოვნობისა და სტრუქტურის განსაზღვრის კონცეპტუალურ ჩარჩოს წარმოადგენს თავდაცვის „სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი“. ძალთა ოპტიმალური სტრუქტურის განსაზღვრა საფრთხეების, არსებული შესაძლებლობებისა და რესურსების კომპლექსური ანალიზის შედეგად ხდება. ამდენად, აღნიშნული მიმართულებით განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები ასახულია თსმ 2017-2020-ის დოკუმენტში.

აღსანიშნავია, რომ ძალთა ოპტიმიზაციამ შესაძლებელი გახადა წინამდებარე დოკუმენტში განსაზღვრული სტრატეგიული მიმართულებებისა და „ტოტალური თავდაცვის“ უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების შემდგომი განხორციელება.

2017-2020 წლის ღონისძიებები

- **ძალთა მართვის სისტემა** - თავდაცვის შეზღუდული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით, აუცილებელია ძალთა მართვის ფუნქციონირებადი სისტემის დანერგვა, რაც უზრუნველყოფს ძალთა განვითარებას, მოდერნიზაციასა და მართვას. ეს ასევე ხელს უწყობს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ფუნქციების განვითარებას, როგორცაა ძალთა ადეკვატური დაკომპლექტება, აღჭურვა, წვრთნები და შენარჩუნება.
- **თავდაცვის რესურსების მართვის სისტემის ინსტიტუციონალიზაცია** - რესურსების მართვის ეფექტიანი სისტემა მნიშვნელოვანია თავდაცვის ტრანსფორმაციის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების შესაბამისი ფინანსური და სხვა რესურსებით უზრუნველყოფისთვის. ამისთვის ძირითად ინსტრუმენტს წარმოადგენს „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს“ შემუშავება ყოველი საბიუჯეტო წლის დაწყების წინ.
- **რეზერვის და მობილიზაციის ახალი სისტემის ჩამოყალიბება** - „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ეფექტური რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა. ამ მიმართულებით დაგეგმილია არსებული კონცეფციის გადახედვა, განახლება და დამტკიცება. კონცეფცია წარმოადგენს სამხედრო რეზერვის გენერირებისა და სწრაფი მობილიზების საფუძველს. დოკუმენტი უზრუნველყოფს

ოფს რეზერვის სისტემის მაქსიმალურად მარტივ და მოქნილ ორგანიზებას, მატერი-ალური, ფინანსური და ადამიანური რესურსების თვალსაზრისით და მართვისა და კონტროლის თავსებადობას შეიარაღებულ ძალებთან. კონცეფცია ითვალისწინებს სამკომპონენტო რეზერვის სისტემის შემოღებას (შეიარაღებული ძალების, ტერიტორიული და სპეციალისტების რეზერვი) შეიარაღებული ძალების მხარდასაჭერად. დოკუმენტის პროექტი საზოგადოებას მიმდინარე წელს წარედგინება, 2018 წელს კი დაგეგმილია საპილოტე პროგრამის ამუშავება.

3. ძალთა მზადყოფნა

ძალთა მაღალი მზადყოფნა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის, ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის გადამწყვეტი ფაქტორია. ამ მიმართულებაში გაერთიანებულია პერსონალის დაკომპლექტების, შეიარაღებისა და აღჭურვილობის, საბრძოლო მომზადების, წვრთნების ჩატარებისა და ქვედანაყოფების მზადყოფნის შენარჩუნების ელემენტები. ამასთან ერთად, მომავალი ოთხი წლის მანძილზე საბრძოლო მზადყოფნის დონის ამაღლების საქმეში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „საქართველოს მზადყოფნის პროგრამა“ (GDRP).

შეზღუდული რესურსების გათვალისწინებით, შეიარაღებული ძალების მზადყოფნის დონის ამაღლების მიზნით, უპირატესობა მიენიჭება შემდგომი კომპონენტების გაუმჯობესებას: სამანევრო (ქვეითი, მექანიზებული ქვეითი და ჯავშანსატანკო); საჰაერო თავდაცვა, ჯავშანსაინააღმდეგო, სამხედრო-საინჟინრო (კონტრმობილურობა), არტილერია და სადაზვერვო სისტემები.

2017-2020 წლის ღონისძიებები:

- **სამხედრო-სავალდებულო სამსახურის სისტემის თვისობრივი გაუმჯობესება** - შეიარაღებულ ძალებში განვითარებული წვევამდელები გაივლიან სრულფასოვან საწყის საბრძოლო მომზადებას, რაც ხელს შეუწყობს მათ ჩამოყალიბებას სრულყოფილ სამხედრო მოსამსახურეებად. განახლებული სავალდებულო სამხედრო სამსახური უზრუნველყოფს ხარჯების ეკონომიურობას, წვევამდელების სისტემით პროფესიული კომპონენტის მხარდაჭერას და მეტი პერსონალის მომზადებას, როგორც რეზერვისთვის, ისე საკონტრაქტო -სამხედრო სამსახურისთვის.
- **ქვედანაყოფების სტატუსისა და შეფასების ანგარიშების სისტემა (USERS)** - განახლება არსებული შეფასების სისტემის კრიტერიუმები, როგორცაა: პერსონალი, წვრთნა და შენარჩუნება.
- **საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა (GDRP)** - სამინისტროს ხელმძღვანელობა სრულად აანალიზებს, რომ აშშ-ის მხარდაჭერით ინიცირებული პროგრამა საქართველოს შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისა და თავდაცვის შესაძლებლობების გაზრდის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში უზრუნველყოფს ამ პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტურ შესრულებას და მათ რესურსობრივ (საფინანსო-საბიუჯეტო) უზრუნველყოფას.

4. ინსტიტუციური რეფორმები

თანამედროვე და ეფექტური თავდაცვის სისტემის განვითარებისთვის აუცილებელია ისეთი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციურ მდგრადობას უზრუნველყოფს. ამ მიმართულებით აღსანიშნავია ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) ინიციატივების შესრულება, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინსტიტუციურ ქმედუნარიანობას.

2017-2020 წლების განსახორციელებელი ღონისძიებები

- **სამხედრო კარიერის მართვის სისტემის გაუმჯობესება** - ცენტრალიზებული სამხედრო კარიერის მართვის სისტემის დანერგვა ითვალისწინებს პირადი შემადგენლობის კარიერის თანმიმდევრული განვითარების მიზნით შესაბამისი მეთოდებისა და პროცედურების შემუშავებას. ამ კუთხით მნიშვნელოვანია ცენტრალიზებული დანიშვნებისა და გადანაწილებისთვის ახალი რეგულაციების შემოღება და რეკრუტირებისა და შენარჩუნების გაუმჯობესებული პროგრამების დანერგვა.
- **სამოქალაქო პერსონალის მართვის სისტემის განვითარება** - მოიცავს გამჭვირვალე და ობიექტური რეკრუტირებისა და სამუშაოს შესრულების მართვის, აგრეთვე, დამსახურებაზე დაფუძნებული პროფესიული განვითარებისა და კარიერის მართვის ღონისძიებების განხორციელებას.
- **დაზვერვის სისტემის ტრანსფორმაციის გეგმა** - განახლებულ გეგმაში აისახება შეიარაღებული ძალების სადაზვერვო შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის საჭირო ღონისძიებები (პასუხისმგებლობა, ორგანიზაციული სტრუქტურა, პროფესიული განვითარების კურსები, აღჭურვილობის მოდერნიზაცია და ინფრასტრუქტურული საჭ-



ირობები). დამატებითი ღონისძიებები მოიცავს სადაზვერვო ოცულებისა და რეკ-ოგნოსცირების ასეულებისთვის მნიშვნელოვანი დოქტრინის/სახელმძღვანელოების შემუშავება-დამტკიცებას.

- **წვრთნების ხარისხის გაუმჯობესება** - ძირითადი ყურადღება დაეთმობა გენერალური შტაბის უფროსის ყოველწლიურ საორგანიზაციო-მეთოდურ მითითებებსა და ქვეითთა სახელმძღვანელო დოქტრინების შემუშავება-დახვეწას. მაგალითად, დაგეგმილია ქვეითი ათეულის და ოცეულის, ქვეითი ასეულისა და ბატალიონის და უშუალო მხარდაჭერის საარტილერიო ბატალიონის სახელმძღვანელოების შემუშავება. ამასთან ერთად, დაგეგმილია სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, ამოცანის აუცილებელ დავალებათა ნუსხის შესაბამისი პროგრამების შემუშავება-დამტკიცება.
- **პროფესიული სამხედრო განათლების გაუმჯობესება** - მიზნად ისახავს შეიარაღებულ ძალებში ინიციატივებისა და კონკრეტული სტანდარტების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს სერჟანტებისა და ოფიცრების პროფესიული განვითარების პროგრამების დახვეწას და შეიარაღებულ ძალებში ლიდერობის უნარ-ჩვევების განვითარებას.
- **სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია** - აკადემიის ფარგლებში მოხდება ოფიცრის შუალედური და უმაღლესი სამხედრო განათლების საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი დახვეწა და მათი შეიარაღებული ძალების საჭიროებებზე მორგება, ისევე როგორც სამეცნიერო კვლევითი საქმიანობისთვის საჭირო საფუძვლის ჩაყრა.
- **საერთო-საჯარისო მომზადების ცენტრი** - სამხედრო სპეციალიზაციის სკოლების თავმოყრა ცენტრში ხელს უწყობს სამხედრო მოსამსახურეთა (ოფიცრთა) პროფესიული დონის ამაღლებას და წვრთნისა და განათლების ხარისხობრივ გაუმჯობესებას.
- **თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა (DIB)** - პროფესიული განვითარებისა და უნარ-ჩვევების ამაღლების მიზნით დიდი ყურადღება დაეთმობა არსებითი პაკეტის ინიციატივის - თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის განვითარების პერსპექტივებს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული სკოლის პროგრამებითა და კურსებით ისარგებლებენ სხვა უწყებების ის თანამშრომლებიც, რომელთა საქმიანობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროს უკავშირდება.
- **ლოგისტიკური მხარდაჭერა** - დაგეგმილია ლოგისტიკის კონცეფციის, შეიარაღებული ძალების „გაერთიანებული პუბლიკაცია 4.0 ლოგისტიკა“ და ქვეითი უზრუნველყოფის ბატალიონის სახელმძღვანელოს გამოცემა. ასევე SNGP-ის ლოგისტიკური შესაძლებლობების განვითარების პროექტის ფარგლებში მოხდება საქართველოს „მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობების“ გაძლიერება და მიღების, განთავსებისა და გადაადგილების საშუალებების გაუმჯობესება.
- **თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სოციალური და სამედიცინო მომსახურება** - ამ სფეროში თავდაცვის სამინისტრო გააგრძელებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სოციალური და სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფას სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირების, დაჭრილი და დაშავებული ჯარისკაცებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის.

- **ინფორმაციული სისტემები/კიბერუსაფრთხოება** - INFOSYS-ის განახლებული გეგმა ხელს შეუწყობს შეირალებული ძალების თანამედროვე მართვისა და კონტროლის სისტემის კარგად დაცული კომუნიკაციებითა და საინფორმაციო კვანძებით უზრუნველყოფას. ამასთან, აღნიშნული გეგმის მიხედვით განხორციელდება პრიორიტეტულ მიმართულებებზე რესურსების გადანაწილება და კრიზისისა და ომის დროს სტანდარტული ოპერატიული პროცედურების დახვეწა.
- **რესურსების მართვა და ანგარიშგება** - ფინანსების მართვის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესების მიზნით, გაგრძელდება პროცედურების განახლება ფინანსთა სამინისტროს მითითებების მიხედვით. „თავდაცვის პროგრამების სახელმძღვანელოს გამოქვეყნება“ უზრუნველყოფს 2018 წლის თავდაცვის ბიუჯეტისა და მომდევნო სამი საპროგრამო წლის საფინანსო დაგეგმვას, ისევე როგორც, ბიუჯეტის აღსრულების პროცესის მონიტორინგს.

5. საერთაშორისო/ორმხრივი თანამშრომლობა

საქართველო მტკიცედ განაგრძობს ევრო - ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, ერთგული რჩება და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობა ნატოს წევრ სახელმწიფოებთან და პარტნიორ ქვეყნებთან და ამ თანამშრომლობის ფარგლებში არსებული პროგრამები (ANP, PARP, SNGP) ხელს უწყობს სამხედრო შესაძლებლობების განვითარებას, თავდაცვის სისტემის მდგრადობას და ალიანსის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთავსებადობის ამაღლებას. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, საერთაშორისო მისიებში, საერთაშორისო და ორმხრივ სწავლებებში მონაწილეობა:



- საქართველო განაგრძობს ნატოსთან პარტნიორობის არსებული მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას. ნატოს წევრი სახელმწიფოებისა და პარტნიორი ქვეყნების ექსპერტებთან მჭიდრო თანამშრომლობით გრძელდება ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტით (SNGP) გათვალისწინებული 15 ინიციატივის განხორციელება. თავდაცვის განვითარების პრიორიტეტებზე დაყრდნობით განისაზღვრა არსებითი პაკეტის თითოეული ღონისძიების კონკრეტული შედეგი და მოხდა მათი სინქრონიზაცია თავდაცვის სამინისტროს ყველა არსებულ სტრატეგიულ დოკუმენტთან და ორმხრივი და მრავალმხრივი პარტნიორობის ფორმატებთან.
- საქართველო ერთგული რჩება ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობის მიღების ვალდებულების ერთი ასეულის შემადგენლობით და გამოხატავს მზადყოფნას, გააგრძელოს მონაწილეობა „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ (RSM) 2018 წლის გაზაფხულის ჩათვლით. საერთაშორისო უსაფრთხოების ტენდენციებისა და თავდაცვის სისტემაში მიმდინარე ტრანსფორმაციის გათვალისწინებით, საქართველო თავის პარტნიორებთან ერთად განიხილავს „მტკიცე მხარდაჭერის მისიაში“ მონაწილეობის დეტალებს, დღეისთვის შეთანხმებული ვადების გასვლის შემდეგაც.
- საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელმოწერილი ჩარჩო დოკუმენტი „საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ“ ხელს უწყობს საქართველოს თავდაცვის სისტემის კრიტიკული მიმართულებების სტაბილურ განვითარებას. ამ კუთხით აღსანიშნავია საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ეფექტური განხორციელება.



- საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცნობიერებს საქართველო-ევროკავშირის შორის 2014 წელს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მნიშვნელობას. შესაბამისად, თავდაცვის სამინისტრო აგრძელებს მალისა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში წარმოებულ კრიზისების მართვის ოპერაციებში/მისიებში მონაწილეობას.
- პარტნიორ და რეგიონულ ქვეყნებთან ერთად დაგეგმილი ორმხრივი წვრთნები გაზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და საბრძოლო შესაძლებლობების დონეს. საქართველო განაგრძობს მრავალეროვნული წვრთნების (NOBLE PARTNER, AGILE SPIRIT, SEA BREEZE, RAPID TRIDENT, VIKING, ნატო-საქართველოს სწავლება) მასშტაბობას, რათა გადადგას დამატებითი ნაბიჯები ნატოსა და პარტნიორ ძალების სტანდარტებთან თავსებადობის ამალგების კუთხით. რეგიონული თანამშრომლობისა და ურთიერთობების გაღრმავების მიზნით აღსანიშნავია, თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის სამმხრივი სამხედრო სწავლება.
- უსაფრთხოების ახალი რეალიების გათვალისწინებით, საქართველო, როგორც ნატოს „გაძლიერებული შესაძლებლობების პარტნიორი“ (Enhanced Opportunity Partner) ესწრაფვის განავითაროს პრაქტიკული თანამშრომლობის სასარგებლო ფორმატები შავი ზღვისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით.

რესურსების მართვა

შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაციის პროცესში გამოიკვეთა არსებული რესურსების შეუსაბამობა შეიარაღებული ძალების წინაშე დასმულ ამოცანებსა და საბრძოლო მზადყოფნის მოთხოვნებთან. შესაბამისად ოპტიმიზაციის შედეგად გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსი გადანაწილდა ძალების ოპერატიულ მოთხოვნებზე, რაც ითვალისწინებს შეიარაღების მოდერნიზაცია/შესყიდვასა და საბრძოლო მზადყოფნის კომპონენტების დაკმაყოფილებას.

თავდაცვის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებელი კონსერვატიული მიდგომით განისაზღვრა (იხ. გრაფიკული გამოსახულება N2). კერძოდ, თავდაცვის ბიუჯეტის ჭერს ზემოთ მოთხოვნასა და ჭერს შორის არსებული სხვაობის საშუალო მაჩვენებელი 2013-2017 წლებში, ექსტრაპოლირდა „ქვეყნის ძირითადი მონაცემების და მიმართულებების 2017-2020 წლების“ დოკუმენტის (გადამუშავებული ვარიანტის) მონაცემებზე. ამასთან, ბიუჯეტის ოთხწლიანი პროგნოზი ითვალისწინებს საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის დანართში („ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორები“) ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის თანაფარდობას თავდაცვის ხარჯების საპროცენტო მაჩვენებელთან.

იმ შემთხვევაში თუ თავდაცვის ბიუჯეტი აცდება (გაიზრდება) კონსერვატიულად პროგნოზირებული ბიუჯეტის მაჩვენებლებს, დამატებითი თანხები გამოიყოფა შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის არსებული გეგმების განხორციელებაზე.

თსმ-ს დოკუმენტით განსაზღვრული ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები

წელი	თავდაცვის ბიუჯეტი (მილიონი ლარი)	პერსონალის ხარჯი	ოპერაცია და მხრდაჭერა	შეიარაღების შესყიდვა	მშენებლობა	კვლევა და განვითარება
2016	670	62.4%	27.4%	2.6%	2.6%	5.0%
2017	670	60.7%	26.4%	4.1%	4.6%	4.2%
2018	680	59.3%	26.5%	5.4%	4.7%	4.1%
2019	700	57.7%	26.4%	7.3%	4.6%	4.0%
2020	720	56.8%	26.4%	8.5%	4.4%	3.9%





საქართველოს თავდაცვის სამინისტრო
2017 წ.